წილკენელი. მეფენი არასოდეს ჰყოლიათ. მათი უმთავრესია შარალან, ძე შარალანისა, ამ უჯანსაყენლიმ ძეა ათრაბა. მათ სატახტოსაც შარალანი ჰქვია, დედაწულლიანად დადიან ფორნებით. იგამოუწელომელი მშვილდოსნებია, უფრო გასაოცარი ცხენოსნები.

ლიპარიტი. მამაჩემისაგან მაქვს განაგონი. აღექსი კომნენმა არა ერთხელ მოაუყვანინა ყიფიანი ქირის ქარისათვის. სამასი და საკურველინი დაურიგა მათ. ბოლოს გადასწვეს კონსტანტინოპოლის ვარუთხანი, ეკლესიები დამარცხეს, საკურველი თან წაიღეს და ტრამალეზს მიაშურეს.

ანტონი და თრიალეთის ეპისკოპოსები. ესაა აჟოა ჩვენს გამარტახებულ ეკლესიებს.

ანტონი. მართალსა ბრძანებს ლიპარიტი, ეგეც არ იყოს, ურწმუნოებით ვაგვიბილწავენ ეგ ურწმუნონი ხალხს.

ეპისკოპოსები. (გარდა მანგლელისა) მართალსა ბრძანებს ყოვლად სამღვდელო ანტონი. ვიჭმნით ეშვასიგან, ფუი, ფუი!

გიორგი მეფე. საქმე არა გაქვს, ვეეო, მე უმაღ მგლის ბოყვერების დაგეშვას შევქლებ, ვიღერ დავით მეფე ქირის ქარისათვის გამოიყენებდეს ყიფიანთა ნათესავს.

პურობა მთავრდება, მესტუმრეთუხუცესი მივა ლიპარიტთან და თრიალეთლებთან) პალატებში შუადა, ერისთავთ ერისთავო, სტუმრებისათვის განყოფილი.

(წინ გაუქმდება. დარბაზში დარჩება მარტო კირიონ მანგლელი).

გიორგი მეფე. ერთ რამეში მაინც მართალა ლიპარიტი, ვეეო. აღექსი კომნენმა ტრამალეზიდან მოაყვანინა ყიფიანები, თავის ქირის დაშპარში ჰყავდა, არა? მერმე როგორც იცით, აიყარნენ ყიფიანები. ხერსონის ციხე აღეს, გამოიყვანეს იქიდან



ერუციასარი დიოგენისძე, კონსტანტინოპოლისაკენ წამოვადნენ ცეცხლით და მახვილით, გადებუჯეს სოფელნი და დაბანი. დიოგენისძემ კეისრის წითელი წაღები ჩაიკვია, შეიშოთ წინ ეგებებოდა ცრუციასარს ვადაგვა ხალხი.

**მ ა ხ რ ა. მერმე რა?**  
გიორგი ი. მერმე ეს იყო, ივრეკაცა კომენნა, გაერთა უფრადები, ცრუციასარს თავი წაჭრა. მე იმას ვშიშობ, ვერო, ისედაც ბევრი გვაყავს ქვეგამხედვარი, ვაი, თუ უფრადები მათ მიეშეტონ.

**და ვ ი თ ი. ამაოდ შიშობ, მამაუ ბატონო, ეს ამბავი ლიპარიტზე უკეთ ვიცოდი, მაგრამ კომენნის შეცდომას ჩვენ არ გავიმეორებთ. ქორი რომ ქორია, მახარა შეიპყრობს მას სიველურის ბუნებულს გამოცდის ილიდიდან ჭერ.**

**კ ი რ ი ო ნ მ ა ნ გ ლ ე ლ ი. (ხარხარებს) მართლას ბრძანებს მეფე დავითი.**

და ვ ი თ ი. მერმე თავიღებს ამოურმსავს იმ ქორს, მარცხენაზე დაისვამს, დღე და ღამ ჩაყვირის უფრში. მერმე საქნიერზე მოსვლას მიჩვევს. დაუგეშავი ქორი ზოხობს რომ მიუღიო, შეხაღლია შეიპყროს ხოხობი, მაგრამ ნადავლიანად გაუჩინარდება. აგრე დაე-მართა კომენნაც. მას თუ ნებავდა მეგავშირეთ გაეხადა უფრადი, ჭერ ბიწანტაში უნდა ჩამოესახლე-ბინა ისინი, ბერძნულ მიწაზე დეფუძნებინა, შემდეგ ამისა უნდა შეეცა ცხენებზე, თორემ მოხეტიალე ურ-ლონი მისანდობარი არ იქნებოდა არასდროს. მოგეცხნენება, ცხაროსო ბატონო, არაფერი ისე არ აკავშირებს აღამიანებს, როგორც დედამიწა თავად.

**გიორგი ჭყონდიდელი. მეც ვშიშობ, მეფეზე ბატონო, ვაი თუ შჭული შეგვიჩყოინ მავ უშ-ჭლოთა.**

**და ვ ი თ ი. ვინც მერყევია, უყოფრადოდაც შეირ-ყევია, მამაო გიორგი.**

**კ ი რ ი ო ნ მ ა ნ გ ლ ე ლ ი.** დარბაზის ერნო, მართლს ბრძანებს დავით მეფე. ყოფრადთა უშჭლოცება ნაკლებად საშინაო შუღლისათვისაც, ვიდრე სელ-ჭყლიანთა საფრთხე და ორბელიანთა განდრეკილობა. ყოფრადებს რა ჩამოვასახლებთ, ქრისტიანებადაც მო-ვაქცევთ. სწორედ თქვა უფლისწულმა მახარამ: ლიპარიტისა და რატის გვეგუთში სტუმრობას ორი მი-ზანი ჰქონდა, ჩემის აზრით. მოზოდისშება ეკრანთაში რომ ვერ დაგვემხარა. ცხადია მე არა მჭერა რატის ავადყოფლობა. მეორე ეს გახლდათ, ლიპარიტს სწა-ღია დამოყვრებით ჩამალოს ყოფრადიტიდან ქირის ჭარის მოყვანა. მე კი მგონია, უნდა დავაჩქაროთ ეს საქმე. ჩვენი მეციხოვნენი უნდა ჩავაყვინოთ კლდეკარის, ბერიქალისა და ხულუტის ციხეებში, თორემ ლიპარიტის ძემ რატიმ ფრადლ მოუხშირა სულთან ბარქიაროთან მიწერ-მოწერას. წარამარა აჯაყვის ის-პაანს თავის მსტოვარს, კოშმან ბერს, სოვადგარულად გადაცმულს. ისიც უნდა მოვახსენოთ ორივე მეფეს, რატი ლიპარიტის ძე დავით მეფესთან დამოყვრების წინააღმდეგია, ოღონდ ლიპარიტისა და კატაიას რი-დი აქვს. მე აგრე მგონია, უნდა დავაჩქაროთ კლდეკარის ერისთავთან დამოყვრება, ხოლო დამოყვრებას თრიალეთის ციხეებში ჩვენი მეციხოვნეების ჩაყვრება უნდა მოყვას. დამოყვრებას ხელს უშლიან, თორქაშ მანდატურთხუბუცის და კლდეკარის ციხისთავი, არც

ია ციხელაისძე — ხულუტის ციხისთავი, და არც ბერიქალის ციხისთავი მამისთავლა მახარობისძე ვახ-ლავთ დიდად მისანდობნი.

**და ვ ი თ ი.** თქვენ როგორ გგონიათ, მამაო კირონ, ლიპარიტი რად გაიტყრინა ეკრანთაში ბრძოლის დროს. კ ი რ ი ო ნ მ ა ნ გ ლ ე ლ ი. მე აგრე მგონია, ლიპარიტს გულთი ეწადა თქვენთვის თანადგომა აღმო-ერინა, მაგრამ რატი ლიპარიტისძემ, თორქაშმა და ციხის თავებმა არ დაანებეს, ამიტომ მოიავადმოყო-რადი ლიპარიტის ძემ თავი. ცხადია, ვერც იმას მო-გახსენებთ, ამირ ტეგვა თუ გაიპარჯებოდა, ლიპარი-ტი და რატი ზურგში არ ჩაგვეცმდნენ მეთქი, მახ-ვილს.

**და ვ ი თ ი. (გიორგი ჭყონდიდელს) ხომ გეუბნებო-დი, მამაო გიორგი. ჩემი ვრადული სწორი აღმო-ჩნდა. (შემდგომ ამისა ჭყონდიდელსა და სპასალარებს ეუბნება), ერთი კვირაც ვაცალით მოსულიერება მა-მაო სტეფანოსს. ერთი ქისა ოქროს ბოტანიტი და ათი ათასი დიბრემი თან გაატანეთ. გუარამ ბუქისციხის პა-ტრონი, ვეშვა სვანთა ერისთავი, ათი ტენსრული, ახოვანი აწნაური, ცხუმელი ეპისკოპოსი სევასტი, სამი დიაკონი, ასოდე მალულად შეტყვრილი ცხენ-კეთილი მონასა თან გაატანეთ, მეჭორენი, მეკარვე-ლი და მეფორენი. (სტეფანოს წილკანზე მიუბრუნ-დება) შარაღანს რომ ჩახვედებ, უკველ შემთხვევაში ხელმარჯვე დროს შეუცადი, მამაო სტეფანოს. ჭერ ქრთაბეზე მიაართვი და მეფეთა სახელით მოიკითხე შარაღანისძე. გუშინწინ კიევიდან ჩამოხლუნდა ჩვენს მიერ მანდ წარგზავნილი ბერი თოთიბაი. იუწყება ჩვე-ნი სარწმუნო კაცი კიევიდან ეპიტარს ჭორამბთან დიდი ბრძოლებია. გადელმოდან ყოფრადებს უტყვერ რუ-სთა მოთვრებები: ვლოდმერ მონომახი, მსტინლავ იგო-რისძე და ვიარხლავ იარკოლსკისძე. ჭორამბებს გა-დმოღმა დაბანადნენ თურმე ყოფრადთა ათათასის თავები. ალტერნოჟუ და უსურბაი, არსლანაჟუ და ულუ-საი, ბედი თუ გვაქვს, ქრისტიანებმა უნდა გაიპარ-ჯვინ. მაშინ ხელსაყრელი იქნება დამარცხებულ ყო-ფრადებთან მოლაპარაკება.**

**გიორგი ჭყონდიდელი და სტეფანო-ს წილკნელი. (პირველს იწერენ) „ქრისტიან-თა გამარჯვებისათვის ვილოცოთ“.**

**გიორგი მეფე. მაინც რამდენი მოითხოვა შარაღანისძემ ქირის ჭარისათვის, მამაო სტეფანოს?**

**ს ტ ე ფ ა ნ ო. ლიპარიტთან მე არ გავაზიხდი, ისე 40 ათასი ცხენყვითლი მონასისათვის, ოთხმოცა ათა-სი ოქროს დიბრემი ამ თავადზე მეორე დღეს ათი ათასის თავი უღლესა მომიგზავნა დიდი კარავიდან, უკანვე წაილო სიტყვა. მე უსიტყვოდაც მივუხვდი, რუსებთან იმი აქვთ მეთქი ყოფრადებს. მე იმედი მაქვს, რუსთა მოთვრებმა თუ გაიპარჯვეს, ოცი ათას დიბრემზე ჩამოვლენ.**

**მ ა ხ რ ა. ევაჭრე, მაგრად ევაჭრე, მამაო სტე-ფანოს. ხომ იცი, თურქები უნაშუსო ვაჭრებია. ჭერ მამადს როცა ჰყიდის თურქი, მამლის ბიბილოს ოდენ-ა ოქროს დავიდასებს, გვევაჭრება, გვევაჭრება და ნი-ვრის ფასად მოგყიდის ბოლოს.**

სენას პირველი

გეგუთის სასახლის სხვა დარბაზი. კედელთან უხა-  
რმახარი, შავი სპილოსფეხებიანი კარადა. სუფრა გაშ-  
ლილია. სტუმრები არა სჩანან. დარბაზში დედისიმე-  
დი, ხორეშან და ლელაი.

ფანჯარასთან ზის ლელაი. (დედისი-  
მესი) რად მოგაწყენია, ჩემო გვრიტო, ბედნიერე-  
ბამ ხომ არ მოგქანცა. მოსაწყენი რა გაქვს, საქარ-  
თველოს დედოფალი გახდენი დღეს-ხვალ.

დედისიმედი. (აქეთ-იქით იხედება) წუხელ  
მწუხრიდან როცა გაიფრთხილეთ, ლეღიანში დავი-  
მუხლეთ მე და დავით მეფემ. დავიწყარა საღამო  
იყო. ბულბულები უსტვენდნენ ბროწეულების ჩირგ-  
ვეტში. იისფერი ღრუბლებით ირთებოდა ცა. მე  
ვკროდი შიშისაგან. იქვე უნდა გამოეარათ მწუხრი-  
დან მობრუნებულ რაბისა და დედაჩემს: ბოლოს  
ვემუდარე მეფეს, სასახლეში მივბრუნდეთ მეთქი. არ  
ინდობა წამსვლვა. ადგომა დავაპირე, სააღმოსოდ  
წამებოტინა და ნუ იტყვი ჩემს უბედურებას, ლე-  
ლაი, აღმასის ყელსაიდი გამიწყვიტა ყელზე შებ-  
ლილი. ბევრი ვძვით მთავარს ღამეში დაბნეული  
აღმასები, ოცდათორმეტი ძლივს მოვაგროვეთ ბალა-  
ხებში, მხოლოდ ოცდამეცამეტე ვეღარ ვიპოვნეთ.  
იცი რა მითხრა მეფემ. შენი ჭირი წაუღიაო ამ აღ-  
მასებს ამ ქვეყანაზეო.

ლელაი. მართლაც შენი ჭირი წაუღია მაგ აღ-  
მასს, ჩემო გვრიტო.

დედისიმედი. მე აღმასს როდი მივსტირი,  
ლელაი. მეშინია, ვაი თუ იპოვნოს ვინმემ და ჩვენებს  
მიუტანოს. ამ დილით ბევრი ვაძებნიე ჩემს დაიკონს,  
ვეღარ იპოვნა. იცი ლელაი, რისი მეშინია? როცა  
მე და მეფე ლეღიანში ვისხედით, ვიდაც შაოსანის  
ღანდი დაობდავდა ბროწეულებს გადაღმა. მე ვა-  
ცნე ეხ ამბავი მეფეს. მითხრა, მარანია იქვე, კომ-  
შის ქვეშ, ღვირო მაქვთო აღმათ. მე კი მივინა კოზ-  
მან ბერი უნდა ყოფილიყო ის შაოსანი, ლელაი.

ვაი, თუ მაგ წყუელმა იპოვნა და ჩვენებს მიუტა-  
ნა აღმასი.

ლელაი. არ დაიჭირო, ჩემო გვრიტო, კოშმანი  
ვერ გაბედავს ამას. ნუ ნაღვლობ, ჩემო გვრიტო.  
მე აქ სულ კაი ამბებს მოკვარი ყური, ეღენე დედო-  
ფალი დაინებით მოითხოვს თურმე, ამ შემოდგომაზე  
გვეფთხო შეღდგენსო ქორწილი, მანამდის უფროხულიაო  
ქორწილი, რადგან დავით მეფის ცოლყოფილი რუ-  
სუღანი ჭერაც არ ჩასულაო იერუსალიმს, კეთილ  
ქარს უცდისო ბიზანტიონში. ერისთავთ ერისთავი  
ლიპარიტი მოითხოვს, გაუმართოთო ქორწილი, ოღონდ  
კლდეკარში და არა გეგუთში. მახარამ მიჩურჩულა  
გუშინ: დიდხანს ურჩობდა თურმე მთავარ ეპისკო-  
პოზს ანტონი, ნომოკანონი არ გვაძლევსო ნებას, მა-  
გრამ დამუქრებია თურმე მთავარეპისკოპოსს მახა-  
რა, თუ ხელს შეგვიშლი, ორივე მეფესთან დაგასმენ-  
სიძის დიაკობს რომ დავიდისო ღამდამობით სასახ-  
ლეში. შეშინებია ფლოკვიან ეპისკოპოსს, თანხმობა  
მიუცვია თურმე.

დედისიმედი. თუ ყური მოგიკრავს, ლელაი,  
რას ამბობს ჩემი ძმა რატი?

ლელაი. რამდენადაც ვიცი, ერისთავთ ერისთა-  
ვი რატი სდუმს, მაგრამ დუმილი ხომ თანხმობს რე-  
შანია, არა?

მახარა. (შეხარბოშებული, ლეღიანში მიყურებს)  
მახარას აცოა შავი, გრძელი მანტიის წნავის მოსა-  
სხამი, როლის ქუბებს იატაკზე მოათრევს):

„რა უცნაური რამ ვნაბე,  
სტიროდა ქრისტის დედაო,  
ცოლს ზღელა ქაჩის ბებერი,  
მივასწარ ცხოვანდელო“.

(მახარა მიდის დედისიმედთან, შუბლზე კოცნის).

მახარა. ოჰ, როგორ გშვენის ეს აღმასების მა-  
ნიაკი, ჩემო შროშანო კაი ქნა ჩემმა დამ, მაიკომ  
ეს აღმასები რომ გინახავოდა, უძვირფასესი უღამა-  
ზეს უნდა ეკუთვნოდეს. შენ ხომ იცი, ჩემო, თუ  
რატომმა მამ აღმასი ამ მანიაკში?

(დედისიმედი სდუმს).  
ქრისტიან მამ წელი იცოცხლა ამ მიწაზე, თუ ხუცე-  
ბი არ გატყუებენ (მახარა აქეთ-იქით იხედება), ფუი,  
ფუი, ფლოკვიანმა ეპისკოპოსმა არ გამოგონოს, თო-  
რემ ანათმას მომიწყობს. (მახარა ითვლის აღმა-  
სებს) მაიმე, აქ მამ აღმასია, ოცდამეცამეტე რა უყავი,  
ჩემო შროშანო?

დედისიმედი. (აიმღერევა) დავკარგე, ძია მახო  
მახარა. ოჰო, იცი თუ არა ვის ვუპოვნე მე ის  
აღმასი?

დედისიმედი და ლელაი. (ერთხმად)  
ვის. ვის ძია მახო!

მახარა. მაგ სატანას, კოშმან ბერს გაუვარდა ჭი-  
ბიდან. ჩავიკოხე, აჩაფრიაა, ჩემი კრიალოსნის ქარ-  
ვა აღმიგარაო. მე მთვრალი ვიყავ და არც გამომი-  
კითხავს. დარდი ნუ გაქვს, ახლავე მოვატანიებ მაგ  
წერტაღლეს...  
მახარა. (ღიღინით მივა სუფრასთან, ღვინოს  
დაისხამს და სვამს. ისევ დაისხამს ღვინოს, დედისი-  
მედთან მივა. ადლებრძელებს). იბედნიერე, ჩემო  
შროშანო.

მახარა. (ფანჯრისკენ გაიხედავს) ეგ ვინა ზის  
მანდ?

დედისიმედი. ხორეშანი, ჩემი დედამამუჟე გა-  
ხლავთ.

მახარა. (ხორეშანს მიგუბრება) მამაბი, ვეღარ  
შენისმე, ხორეშან ბატონო!

ხორეშანი. ვინა ბრძანდებით, შვილო?

მახარა. მახარა ვარ, ბატონო.

ხორეშანი. როგორ ვიქნები მე უსინათლო და  
უბედური?

მახარა. ეჰ, ჩემო ხორეშან, იმდენ გაიძვირებს  
ცხელად ამ ქვეყანად, ხანდახან მეც ვნატრობ უსინათ-  
ლო ვიყუე მეთქი ნეტავი.

ხორეშანი. ღმერთმა დაგიფაროს, უფლისწულო  
ბატონო, ჩემებრ ტანჯვისაგან. როგორ ბრძანდებით?

მახარა. ვარ ცოცხალი, რადგან ჭერ არ მომე-  
დავრავა. თუმცა ლიპარიტი და რატი გულმოდგინედ  
ამტკიცებენ: მახარა გეთიაო, მაგრამ გველის წიწილას  
და არაგვის კალმას როგორმე გავარჩევ ურთიერთ-  
თისაგან.

თორქაშო. (გამოღებული შემობრისი) ერისთავთ  
ერისთავი რატი ხომ არ მობრძანებულა?  
დედა ი. ჭერაც არა.  
(თორქაშო გადის კოლობით. მახარა უკან გასდევს  
კოლობითვე, აჯავრებს. დედისიმიდი და ლული იცი-  
ნინა, კისკისებენ).

დედა ი. ძია მახო, გვევლები, გამოაჯავრე თირ-  
ქაშს, როგორ მოახსენებს ლიპარიტს. (მახარა წიგნს  
მოკვლევს ხელს, ჭერ ილიაში ამოიჩინს, მერმე გა-  
შლის და ეჩინინება ვითომ ლიპარიტს). აბა, კოშმან  
ბერი როგორ სცემს თავუანს მეფეს. (მახარა აიღებს  
თავისი მოსასხამის უკან ქუბებს, ზეილმართულ ბე-  
ლუმზე წამოიფარებს, გამოაჯავრებს აყლაყლა კოშ-  
მან ბერს, მერმე დედისიმიდს, ვითომ დავით მეფეს  
ფერხითთ დღეუარდება: — „პოლიხრონიონ, პოლიხ-  
რონიონ“).

დედა ი. ძია მახო, დედისიმიდს არ ეწყინება. აბა,  
ერისთავთ ერისთავი ლიპარიტი წარმოგვიდგინე.  
(მახარა გაიყინინება: ყიფიანად, ფუი, ფიქში ეშ-  
მაეებისავანი).

დედა ი. აბა, ახლა ეზოსმოდვარი ცინცილუკ-  
მახარა. პავლაგონიში დაიბადა ორთავიანი ხბო  
(ხბოსავით ზმუის). ანტიოქიაში დაიბადა ძალი ში-  
თონე. (ძალივით ყეფს და თურქულად ჯავდა-  
ნებს).

დედა ი. ძია მახო, ქუთათელი ანტონი.

მახარა. (ღოს გამოავლებს, გაიფუყება) ნომო-  
კანონი, ეშმაკები, ყიფიანად, ფუი, ფუი, ბოცოშა-  
ლა — ფრ, ფრ... გამბეშობით შეისია ქვეყანას  
(ბაყაყით ყვირინებს).

მერემეთუხუცესი. აქლებული შემოვარ-  
დება) მახარა ბატონო აქა ბრძანდებით?

მახარა. აქა რომ არ ვიყვე, როგორ დამინახე-  
დი. რა მოხდა, ვაციწვრები?

მერემეთუხუცესი. რატი ორბელიანი და-  
ვით მეფის სკვითაზე შეჭდა. აკი შენა გქონდა ნაბ-  
რძანები, არავინ შესვათო მეფის საომარ ულაყზე.  
ბევრი ექა დავით მეფე. ნუ შეჭდებიო, მაინც არ  
დაიშალა.

მახარა. რა მოხდა, წვერცამეტავ, აბა, სახედარ-  
ზე ხომ არ შეჭდებოდა ერისთავთ-ერისთავი?

მერემეთუხუცესი. ცხენბურთი იწყება, უფ-  
ლისწულთ, მეკრინებთუხუცესი თქვენ გმლოდებით.

მახარა. მიცადოს, სანამ არ მოსწყინდება მაგ  
ბოძლია დათვს. არა მცალია, მე ვქიფობ დღეს.  
(მახარა სუფრასთან მიდის, ღვინოს ისხამს და სვამს).  
ლალი ხორა და დედისიმიდი, ფანჯარასთან  
მჯღა ბორბუმთან მიდიან.

დედა ი. (აღტიკნებული) ცხენბურთი იწყება, დე-  
და. დავით მეფე აღმოსავლეთის ჰელოს იცავს, მას  
ახლავენ: ვეშაგ სვანთა ერისთავი, შერგილ ლიპარი-  
ტიანი, ბეშქენ ჭაყელი, როკიდ არიშიანი. დასავლეთ-  
ის ჰელოს იცავენ: ერისთავთ ერისთავი რატი და  
ჩვენი თრიალეთელები, იაი ცხენდასძე, მაისთავადა  
მარბოზიძე, მანდატურთუხუცესი თირქაშო, ელიშერ  
გაჩაყანისძე, დანარჩენებს ვერ ვარჩევ. დედი, დედი...  
ცხენბურთის მოედანზე ცხენი გამოაგდელა ერისთავთ  
ერისთავმა ლიპარიტ, გასტურცნა ბურთი. დასავლეთი-  
დან გამოჰქანდა ერისთავთ ერისთავი რატი, იმარჯ-

ვა, თრიალეთელებს მიუგლო ბურთი. მათ გამოუღ-  
და შერგილ ლიპარიტიანი. მათ, მათ, ბურთი წარბო-  
ვეს თრიალეთელებს. რატი გამოუღდა ლიპარიტის  
მათ, მათ, დედი... ისევ წაართევს ბურთი თრიალეთელებს  
მათ, მათ, დედი... აბა, ოქროსფერი უღაყი გამოიყენე  
აგელვა დავით მეფემ, გემის როგორ ყვის ხალხი  
(ისმის ტაში და შეძახილება: „შეგვრძედი იყოს მეფე“).  
დედი, დედი გასდელა ერისთავთ ერისთავი რატი,  
გზა მოუჭრა მეფეს, მთელის ძალით მოიქნა ჩოგანი...  
მათ, მათ, ჩოგანი ხელიდან გაუხსლდა რატის და მარ-  
ჩვენაზე მოხვდა მეფეს (ისმის ხალხის აღფრთოება  
და სტეჟა). დედისიმიდი წაიქცევა, მახარა წამოაყუე-  
ნებს, ეფერება. რატი ცხენდაცხენ მიეჭრა მეფეს, და-  
ქვეითდა და მარჯვენაზე აყოცა. ისევ მოუქნა ჩოგანი  
დავით მეფემ ბურთის, თრიალეთელთა ვაჟაკები უკან  
მისდევნენ, შერგილ ლიპარიტიანმა წაიგლო ბურთი,  
დედი, დედი, რა ქნა შერგილმა, წინ მიმავალ ცხე-  
ნოსანს მიჰქონდა ბურთი, ისევ შემოაბრუნა. მათ, მათ,  
დედი, დედი... რატი ორბელიანს წაეჭვა ცხენი...  
(ქალები შექალებდნენ, სასახლეში ალაღოთია, მან-  
დატურები კიბებზე დაბრინ. მახარა სუფრასთან მი-  
დის, იღებს სასმისს, ღლიდებს და სვამს. თრიალეთე-  
ლი აზნაურები მოათრევენ ფეხნაღობს რატის, ეს  
უკანასკნელი ვი დედას იძახის, ხელფებს ასხმარტა-  
ლებს ჰირვეულ ყმაწვილივით, ყვირის. მახარა ამ ალი-  
აქითის გამგონე გააღებს სპილოსფეხებიან კარადს  
და შიგ შეწვება. ამავე დაბრუნე).

თრიალეთელებს უკან მოჰყვებიან მეფე გიორგი,  
დავით მეფე, გიორგი ჭყონიდელო).

ქუთათელი დედა. (ამწვიდებს) ბევრი გემუღა-  
რათ ერისთავთ-ერისთავთ დავით მეფე, არ შეჭდეთო  
სკვითაზე. არაფერია, შენ კი არა, მე ბერიაცაც  
რამდენჯერ ოში წამქცევია ცხენი.

დავით მეფე. (შეწუხებული მეტსტურმეტსტუ-  
ცესს მიმართავს):  
დაუარებლოვ იზმით დასტაქარი ქარსანისძე.

(მეფეები და მათი ამაღა გადიან. ავადმყოფთან რჩე-  
ბიან ლიპარიტი, კატი, კოშმან ბერი და თრიალეთე-  
თელი აზნაურები).

(რატი ბორგავს, ღრიალებს, იტიკებს, ყვირის:  
„მიმუხლოეს, მომკლეს...“ ლიპარიტი ამწვიდებს).

რატი. ეს ყოველივე მახარამ მომიწყო, იმ ქოსა  
ეშმაკმა. მაინც და მაინც სკვითთა შეატყობინა მე-  
ჩინიეთუხუცესს.

ლიპარიტი. მახარა ხულო არ ყოფილა ცხენბურ-  
თზე ვგონებ.

კოშმან ბერი. როგორ არა აუო, იყო.  
რატი. როგორ არა, როცა ბურთი წინ გავიგდე,  
ვიღაც ქოსა ბებერი წინ გადავლოდა სკვითთან. მახა-  
რა ნახსია, გაჰკირი გაუქეოა ცხენს.

ლიპარიტი. დავით მეფე გირჩევდა ნუ ჭდებო,  
ხომ გახსოვს რატი?

რატი. შენ არ გახსოვს, მამაე, ეს კი მიხორა: ჩე-  
მი საომარი ცხენია, მე მიჭირსო მისი დაოცება. აქე-  
დან რა გამოდიოდა, მაშ იგა ჩემზე უეთობი ცხე-  
ნოსანი ყოფილა, არა? შევარცხვინე ბაგრატოვანზე  
ნაკლები ლიპარიტისძე, როგორ მოტუვდა, როცა  
ჩოგანი ვესრლოე და სისხლი ვადინე, მივდი პირი  
მივადევი მკილზე. მას ეგონა ხელზე ვეამბორე. არა,  
სისხლი ვიფიქე, ბაგრატოვანთა სისხლი. ყაწით უნდა

დავლიო ეს სისხლი. ახსუს, ეკრათაში რომ არა გამოგნდი ჩემი ცხენოსანთა ლაშქრით. ამირ ტეგანს რომ არ მივეშველდე. არაფერია, ისევ მოვა ბარქიაროვს ლაშქარი. მაშინ მიყუროს, თუ არ მოვიდა, მე მოვიყვან თვით.

კატაი. სსსუ, გაიგონებს ვინმე, დამშვიდდი, შეილო.

ლიპარიტი. თავი შეიკავე, შეილო, ვაჟკაცი არა ხარ?

რატო. მაპატიე, მაგრამ შენ გულბრწყვილი ხარ, მამავ, შენ არც კი იცი თუ რად მოჰყავს უფიჩალები დავით მეფეს. აქამდის ასე თუ ისე ტოლს ვუფლებდი. 40 000 უფიჩალი თუ შეჰმამათ თავის როვის სპას, მერამე მე და შენ ვეღარ გავუშვავდი იყოლდე. კლდეკარში ჩავალ თუ არა, კოშმან ბერს ვაგზავნი ისპანის მამავ, ლაშქარი უნდა ვთხოვო ბარქიაროვ სუტანს.

კატაი. დამშვიდდი, სსსუ.

რატო. შენ ჭერ დედისმედი აქ მომგვარე ახლავე. შენ ეგ იყოლდე დედი, უშალ თურქ მეთულუხჩეს გავტან ჩემს დას, ვიდრე ბაგრატიონთა გარყვნილ სასახლეში გამოვატანდე დავით მეფეს. დედა წაყვანოს იგი ბარქიაროვმა თავის პარამხანაში, უკეთესს ღირსი არცაა..

კატაი. შენ სიცხე ვაქვს, რას როშავ, შეილო? რატო. მე შენ გეუბნები, აქ მომგვარეთ მეთქი ის გომბიო ახლავე.

(კატაი მიდის).

ლიპარიტი. წადი, მოიყვანე, ქალო. მე არ შემიძლია ამ მზის ყურება.

(გადის).

კატაი. (შემოჰყავს დედისმედი).

რატო. (სანახევროდ წამოდგება, დედისმედს შეჰყვირებს).

აქვე გამოზრდილი სინათლეზე, დედა!

დედისიმედი. (შემკრთალი, აცახცახებული).

სოჭო, ბატონო ჩემო, რა გენახვს მწურხრე მივიჩქარა.

რატო. ლოცვა მაშინაც გეყოფა როცა მონასტრში ჩაგეტყვე ან თურქულ პარამხანაში გაგაგზავნი სადმე.

კატაი. მიდი შეილო მივაღერსე შენს ძმას.

რატო. (საინძებუე მისწვდება დედისმედს) რამდენი ალმასი იყო ამ მანიაკში დედაცო?

(დედისმედი სდუმს).

რატო. (დაიღრიალებს) სთქვი!

დედისიმედი. ოცდაცამეტი ბატონო.

რატო. რამდენია ამჟამად?

დედისიმედი. ერთიო ნაკლები, ბატონო.

რატო. ერთი რა იქნა?

დედისიმედი. ლეღვანში დაკარგე წუხელ.

რატო. ლეღვანში რა გინდოდა მეძაქო!

(კატაი ლეღვი და დედისმედი ორივე ხელს ყურზე დაიფარებენ).

რატო. თქვი ვინ გაგიწვიტა მანიაკი. შენმა კურამ, არა?

დედისიმედი. ჩემმა საქმრომ, ჩენმა პატრონმა.

რატო. (თმებით დაითრებს დედისმედს და მოზრხობას უჩივრებს, კარადის კარი გაიღება და მხარა გამოეარდება).

მხარა. აბა, ხელები დაიმოკლე ერისთავთ-ერთთავო, არ დაგვიწყდეს, ბაგრატიონთა სასახლეში რომ იმყოფები, თორემ...

(მხარა იატაგანზე ხელს წაივლებს, მისცნენ წამჩნქაწულ თრიალეთელ აზნაურებს თვალს დაუბრაილებს, დედისიმედს ხელს გადახვევს).

წამობრძანდი, ჩემო შროშანო!

სენა მეორე

ახალი წლის საღამო. (პირველი სექტემბერი ძველს საქართველოში). ტრადიციული დღესასწაულის სამზადისი აფხაზთა და ქართველთა მეფის სასახლეში, გეგუთი. სცენის სიღრმეში უზარმაზარი დარბაზი. შუაში ბუხარი, ჩაფერფლილი. სამ კედელზე ირმების ქორბუდიანი თავები, ტახის თავების ფიტლები, მთლიანი ვიზისა და არჩვის ტყავები რქებიანდ, დათვის ტყავები, არჩვის და ვიზის რქები. ერთ კედელზე ჰკიფია თორები ოქროცურვილი, სალმასურისა (ვერცხლისანი, ქვიშისფერნი), ეანგისფერი რკინის პერანგები, კინეი, პოლოტიკნი, სამხარენი, საბარკლენი, მუზარადები ჯაჭვის ხელთათმანები, ხმლები, შუბები, დიდ-დიდრონი ქიბორჯნი, ხელშუბები, კაპარკები, ისრები ნიორ-ნიორი ზომისა.

ბუხრის მახლობლად ოქროს ტაბაკი სდგას ერთი, ზედ გრავილები დევს. ტაბაკს გიორგი ჭყონდიდელი მისჯღღმობა ყურადღებით ფურცლავს გრავილებს, ხანაც სწერს.

დარბაზის ვიწრო, წინა ტალანში, რომელიც გასასვლელს წარმოადგენს და დიდი ცაცხებით დამშვენებულ ეზოსკენ მიემართება, ორი მსახური მოათრებს დაკულთ ირემს. შეისვენებენ მცირეს, ოფლს მოიწმენდენ. აქეთ-იქით ფეხდებნიან ირემს.

პირველი მსახური. ახალი წელი კარს მოგვადგა სვებედნიერი, მეფე არხად სჩანს, ამ საკლავებს ვსოცავთ

ამაოღ.

მეორე მსახური. გიორგი მეფე უფრო მტკიცედ იცავდა სჭულსა,

დედ უქმებში ნაღიშობას და ნადირობას

არ მოიშლიდა, თუნდ ქვეყანა წაელო წარღვნას.

პირველი მსახური. ე, იგი იყო უზუხები

მეფეთაგანი,

პურობითაც უკეთესი ყოველთა კაცთა.

სცენის წინა პლანზე წითელ ყაბაჩაში მორთული 14 წლის ღემეტრე უფლისწული გადაიბრენს, უკან საბი ბიქენა მოსდევს ამავე ხნისა, ღემეტრეს მშვილდ-ისარი უჭირავს ხელში, მშვილდ შემართული გაბრბის:

ავაგ მომეყვი, გავაქციევა მტერი.

მოზნასს მოთამაშე ყმაწვილები ისრებს ისერიან, ყოიენებენ, ეზოსკენ გაიბრენენ.

ჭყონდიდელის დარბაზში შედის მანდატურთუხუცისი, მოახსენებს:

დიდო ბატონო და ვაზირთა უპირადელსო,

ბაკურიანი ხელბის ნებას ოსოულობს შენგან.

ჭყონდიდელი. (ზეწამოიწევა, გაოგნებული) რაო, ეგ რა სთქვი?



ბაკურიანი გრიგოლია თუ ნიანია?

მსახურთუხუცესი. სახელი არ თქვა, ნიანია...

ვგონებ ეგ არის...

სელჭუციანთა ტყვეობიდან გამოკვეთული.

ქუონდიდელი. (ღელავს) ებრძანოს ხლება.

შემოდის წვერგაბურძგვილი, 30 წლის ვაჟაკი ტანრული, ამხაბი, ოდნავ კოჭლობს, ტანზე დაფხრეწილი თორი აცვია, როცა ქუონდიდელს მოწიწებით მიეხლება, მეზარადს მოიხდის, ცალ მუხლს იატკა დაპკრავს, ხელზე აკოცებს ქუონდიდელს და როცა ეს უკანასკნელი საამბოროდ წამოიწევა საკარცხლულიდან, მარჯვენა მკერდზე ეამბორობა ვახირთა უპირველესს.

ქუონდიდელი. დიდება უფალს უწებებლად რომ გადაურჩი

მაგ საკრინოვნებს და უშუულო სელჭუციანებს, გამოგლოვილი გვყავდი, შვილო, ცოცხალთა

არ გიგულებდით სამ წელიწადს დღისით და ღამით.

ბნელში გიგლოვდენ ბიძაშვილი

სახლეულებით, ჩაბა ატარა დავით მეფემ წლის მოკცევაშდის, ჰოი, რა დიდი სიხარული მიუძღვენ მეფეს, ამხავს უკეთესს სახალწლოდ ვინ

გვახარებდა?

(ქუონდიდელი მხარზე დაადებს ხელს უზარმაზარ ვაჟაკს, თავით დაუდგამს საკარცხლულს)

„მო, აქ დაქევი და მაუწუე როგორ, რა გვარად?...“

ნიანია. დიღეგში ვყავდი მთელ წელიწადს

სელჭუციანებს,

მი, ჩემი მებმლე, აზნაური ჩემნი შვიდივე

შუბარზე გრიგოლ ტარხონისძემ იზმარა ხერხი

წიგნი მისწერა, შეუთვალა ალიბის უადის,

მაჰმადის სქულის მიღება გვსურს იბერიელებს,

წარმოგზავნეთო მოწესენი მოსარეულებლად.

შეისვენ ხოჯები წარმოგზავნეს, მოსცეს ქითანნი

მთავარ მიზგითში

ფეხშიშველად წავგახსნეს რვანივ.

გზაში ვეძგერეთ გულთამებს ხიდის ყურიდან

გულდურებივით გადავყარეთ უიარალოდ,

მათი მშვილდებით, პოროლებით და თორ-

აბჯრებით

გზა გავიყაფეთ სამშობლოდან გამოკვეთულთა.

შებინდებისას მოგვეწია მღვდარი მათი

უსიერ ტვერში და შეგვექმნა ფიცხალი ბრძოლა,

რვა კაცს გვებრძოლა ცენოსანი, ჩვენ ოციოდე

ვხოცეთ უწყალოდ გულმაჰაცი გულთამები,

ბოლოს განგება მოგვეშველა, გაგვყარა ღამემ,

ვიარეთ სამ თევს, ბარქიარკ სულტნის მოუმეთ

შეგვიყურეს გზაში და მიგვგვარეს ამირ

ილღაზის.

ილღაზს ბერძნებთან გაემარჯნა და

პალეტისინს

დასალაშქრავად მიდიოდა დიდძალი ჯარით.

თან გაგვყაოლეს ბერძენ ტყვეებს, ანტოქიის უდაბნოებში მიგვათრევდენ, გვიმსახურებდენ, ჯორაკლებების მომვლელებად და შინაუშვებად.

ვიფარეთ ღამე, თავს დავესხით ქარავნის



მინარე სპათა გამოვლადრეთ ხანჭლებით საუკეთესო აქლებებით ამოვირჩიეთ, ასე ვიარეთ უკვირელო უწყულო ქვეყნებში, ვიდრემდის კარზე არ დავადა ტაოს კარის მზე, ხიფათი ბევრი მოგვეწია გაქცეულ ტყვეებს, ეს ყოველივე რომ ვიამბოთ, თვით ზამთრის

ღამეც

არ იკმარებდა მოსათხრობად და გასაგონად.

ქუონდიდელი. დიდება უფალს.

(პირველს იწერს)

ნიანია. როგორ ბრძანდება ღვთივ დაცული

მეფე დავითი?

აღბთა ქვეყანას გასაქირის დღე დასდგომა,

ახალ წლის ღამეს რომ არ ათევს ამ

სალატებში.

ნაპარმაგვეში გავიარე, სახლთუხუცესმა ასე მირჩია წალღლისთავში მოიკითხო, ბრალი ჩემია, აღარ ვამცნე თუ ვინ ვიყავი, შესაძლო არის თუ ვეგონეთ ვინმე მსტვარი, ვერავინ მიცნო, თუმც მსახურნი და

მანდატურნი

შემომჩიოვდენ, მოგვიყიესო სელჭუციანთა

ბაკურიანი ერისთავი ორი წლის წინათ.

ქუონდიდელი. (ღედუალი ტონით)

ეგრისს წაბრძანდა მანდ ჯარების მოსაგრეებლად

და ლიხს გადაღმა ხმა დააგლო ამ სახალწლოდ,

საღორაში ნაღირობო უწევე დავითი.

ნიანია. მუხნარში მიიხტრეს, საქორწინოდ

ემზადებო.

ქუონდიდელი. (მცირე დემიონს შემდეგ)

შენ კარგად იცი, ვაჭრდილია ჩემი დავითი.

ვერ ვამიბედავს ამის გამო რჩევა ვაქადრო.

სიყრმიდან ძმურად შერბილინი ხართ თქვენ

ერთმანეთთან,

ხელმარჯვე დრო თუ მოახლო, ურჩევდე მეფეს.

ნულარ შერთავს დედისიმედს, ლიპარიტის ქალს.

ბაღვივათ ძენი მუდამ მტრობდენ

ბაგრატოვანებს,

როცა მალიქ შამ ქართლს შოკიდა

დასალაშქრავად.

სულთანის ურდოებს წინ უძღოდნენ მამა და

შვილი,

ლიპარტი და იოანე ორბელიანი.

ნიანია. ხოლო ცნობილი ლიპარიტის პაპა

ლიპარტი

ბერძნების ლაშქრით შეებრძოლა ბაგრატ

მეთოხენს.

დარბაზში ბნელდება.

შემოდინ მანდატურნი და მსახურნი ალყა და ქონი შემოაქვთ გაანათებენ დარბაზში მდგარ შანდლუბსა და ოქროს სასანთლებებს. ორი მემამხალე უნა მოუდგება ჭყონდიდელს, ერთიც სტუმარს.

მანდარტუხუცესი. (შემოდის აჩქარებული.

ციხეში ქოსსა ჰყრავენ)

მეფე მობრძანდა, გულმორწყალე პატრონი ჩვენი. მეფე ანალითურთ შემოდის, ეამბორობა ქუონდი-

დღეს, შენიშნავს სტუმარს, გახარებული მიეჭრება ნინას, გადახევინ, დღხანს კონინა ურთიერთს. და ვითი. (ოქროს სასანთლესთან მიიყვანს ნინას, მხარზე ხელს დაადებს, თხემიდან ტერფამდის ათვალტერებს).

ბეშქენ ჩაუელმა მომხარა შენი ამბავი.  
კახაბერი იძი. დიხს, ბეშქენთან მგელციხეში ვიყავით სტუმრად.  
და ვითი. ამდენ ბრძოლაში ტანზე თორნი შემოგვცეთია.  
ნიანი. (თორზე ხელს გადაისვამს)

ილღაზის ქარის ასმეთაურს წავართვი ბრძოლით, როს უღანოში თავს დავესხით მექარავენთა, შენ თუ ხუთმეტი ვერ ავიდის ოშიშ მებაჭრე, ვერც მერამენი ცხენთა ცვლაში, მეფეც ბატონო, მე ერთი თორი ალიბიდან ვით მომყვებოდა.

(დავითი მიიყვანს სტუმარს კედელზე დაკიდებულ თორებთან, ჩამოიღებს ერთს, ნინას შეაძლევს ღიმილით).

ნიანი. (მოხსნის საყუთარ თორს, მორთმეულს მოიზომებს).

„სეთი გვიცვა ავქალაში, როცა პირველად თურქებს ვეძგერეთ ანაგებად ქერ კიდვც ურმანი.

(დავითი გაიღიმებს. ახლა მეორეს ჩამოიღებს და მიაწოდებს)

ნიანი. (ახლა ამ თორს გაისინჯავს და უკან უბრუნებს).

ამგვარი გვიცვა გარინაში, როცა მე და შენ ამირ ლიპარიტს და მამამისს ვაწვინეთ შიში.

(დავითი ახლა მესამე თორს ჩამოიღებს. ეს თორი მოკრებმა ნინას. იგი ბრჭყვილა, სალმასურისაა, სხვათაგან გარჩეული. დავითი ოქროს სელზე დსკვამს სტუმარს, თავადაც გვერდით მიუჭდება. მსახურთუხუციც უყონდიდელს გაიმომბს).

და ვითი. ბეშქენ ჩაუელი მიამბოდა, ვარსკვლავთმრიცხველი გამხდარხარ თურმე ნინაი ამ ტუყობაში.

ნიანი. ისმეილებს გადაშარა ალიბში ბედმა, შავს მაგიაში განსწავლულებს,

ვარსკვლავთმრიცხველებს, მცირეოდენი შემსმინეს მისნობა ესე.

(მცირე დუმილის შემდეგ განაგრძობს)

შენც ვატყებოთ ეწვეო, მამცნო ბეშქენმა თაუშის ჩხრეკას არაბულად და რამლის კერასა. (პაუზა)

ბეშქენ ამბობდა: განძელ უადის ეპაქრაო ყურანის სწავლის რაობის და სიმეცარის გამო, ემაც გავიგე საქორწინოდ ეშაადებო.

და ვითი. მართალი უოქვამთ: ვუმოყვრდები ბაღვიჯაშიანთ.

თუ თურქმანებმა გუგარეთი არ გადმოლახეს, მაგარმ გარშემო სამშვიდობოს ვერ ვხედავ

ამინდს, მსტოვარებს მოაქვთ ცული ხმები

ქვემოქართლიდან, სასაცილოა მიჭნობდეს ოშიშ ვართული.

(მცირე დუმილის შემდეგ თავს აიღებს და ეცი-თხება ნინას).

„რაო, რად მკითხავ, არჩევანი არ მოგწონს ჩენი ნიანი. მაგას რად ბრძანებ, ვინ არ იცის დღმდემდე...“

რომ უბადლოა საქართველოს სახელმწიფო მარტამ მე ვშიშობ ლიპარიტის ნაშერთაგან..

და ვითი. რა უყოთ მერე, ლიპარიტის ქალი რომ არის?..

ნიანი. მოვალატენი იყვენენ მუდამ ორბელიანნი ქარლისა ტახტის, ბაგრატიანთ

გვარეულობის...“

და ვითი. ხამს სიყვარულით დაითრგუნოს მარადი მტრობა

ამას გვასწავლის მაცხოვარი ჩენი იესო. ნიანი. მე მომიტყევე ესოდენი კადნიერება, მეფეც ბატონო,

მაგარმ ვშიშობ ეგეც არ გახდეს, ახალი შფოთის და აღრევის ბნელი სათავე, ისევე როგორც ამტუტა ჩენი სამეფო

ბაგრატ მეთობის უეცარმა გამოჩნურებამ, ლიპარიტ დიდის, ბაღვიჯაშის მეუღლის მიმართ.

გარდა ამისა, ასე ვგონებ, თუ არა ვცდები, ბოროტისაგან წარმოსდგება მხოლოდ ბოროტი... და ვითი. მაგას რად იტყევი, ნინაი, ბოროტს მუდამაშამს

მხოლოდ ბოროტი წარმოეშავს ამ ქვეყანაზე, სხვი და ბნელი, ან თუ გნებავს ავი და ქველი,

დასაბამიდან რომ ურთიერთს გამოჩნებოდა, ავს დასასრული ამ სოფელში არ ექნებოდა,

მაშინ სინათლე და სიბნელე გაიჭრებოდნენ, ვერ შეხვდებოდნენ ამ მიწაზე ერთი ბოროტეს, როგორც ზღაპარში ნახსენებია ის ორი დაი

უსინათლონი რომ ეძებდნენ ტყეში ერთმანეთს. მე უნდა შევძლო, დაწეროდა განგების მიერ იგი რაც ჩემთა წინაპართა ვეღარ შეიძლება.

ნიანი. ეგ სწორი ბრძანე უცილობლად, მეფეც ბატონო,

ეს არის კაცის უდიდესი ვალდებულება.

დემეტრე უფლისწული. (შემოყრდებმა, სტუმარს ვერც კი ამჩვენებს, ყელზე შემოეჭდება მამას).

მამე, მამილო, ვერ ვიპოვე მე ჩემი თორი, თქვი ვის არუქე საღმასური, მითხარი ჩქარა.

და ვითი. (გაუღიმებს კალთაში მოკალათებულ ბიჭუნას, მერმე ბაუქრიანზე მიუთითებს)

სიურის მეგობარს, ნინაი ბაქურიანსა, მიდი ავიცი და ბოლოში გამოითხოვე.

(დემეტრე დარცხენილი მიგახლება სტუმარს, მო-რიდებულად ეამბობება და გადის).

და ვითი. (მიამახებს გაქცეულს)

როცა სალაშქროდ მე და ძიას თან წამოგვყვები, ოქროცურვილი ზედ გეცმევა დემეტრე ქაჭვი.

(შემდეგ ამისა აღდება, სარკმელთან მიიყვანს ნინას, მხარზე ხელს დაადებს, ვარსკვლავებს უჩვენებს).

ხედავ მარბიხ ვით მოსხანებს კვლავად ზეცაზე, სისხლიან ომებს მოასწავებს უქვევლია,

ღმერთო მწედ ეუავ საქართველოს უსწორო ოში.

დემეტრე უფლისწული. (გახარებული შე-მოყრდებმა).

მამა, მამილო, სადაცა შემოვა მეგვეთ, ერისთავები ჩამოსულან, ბეშქენ ჩაუელი,



ლიბარტიანი, ვარდანიძე, არიშანი და სხვა მრავალი მედღეენი და მომლოცველი, აზნაურები ციხივანი და უციხონი, სამას და სამი ერისთავთა მოგვართვის ცხენი. დავითი. აბა, დემეტრე, შენ დაუხედი წრეთულს ჩვენ შეკვლეს,

ჩვენ, ჩვენ საზღვრებზე დაუხედედებით საქართველოს შტერს. (ისმის კაცუნი, დემეტრე წამოიძახებეს) დემეტრე. შეკვლე მობრძანდა. ხ მ. ა. კარი გამიღე. დემეტრე. რა მოგაქვს? ხ მ. ა. ოქრო და ვერცხლი, აბრეშუმი და ძოწიული,

ბედნიერება სამეფოს დროშასვანიას,

ერისთავების დამშვიდება, მიწის ბარაკა, საქრისტიანოს გამარჯვება და სიხარული.

ხ მ. ა. კარი გამიღე, კარი გამიღე, კარი გამიღე

უფლისწული დემეტრე კარს გაუღებს. შემოდის მეკვლე — გიორგი ჭყონდიდელი მოაბნევს ფეტვს. ხელში უჭირავს ოქროს ხონჩა, ახლად ამოღებული, თეთრი აბრეშუმი გასს ახევეია ხონჩას, ზედ აწყევია: ბროწეულები, ატმები, ყურძნის მტევნები, ოქროსა და ვერცხლის ჩვრები, სამწედურები, ფიალები და სხვანი.

ჭყონდიდელი. (სოცნის საითათოდ თანადამსწრეთა).

მრავალ ახალ წელს დაესწართ, შვილთო და ძმანო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ქრონიკა

● **ბაზმინი** ღირიგორს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს ოდისეი დიმიტრაიძის 75 წელი შეუსრულდა. ამ შესანიშნავი მუსიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია საქართველოსთან. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიღო მან მუსიკალური განათლება, აქვე გაიშალა მისი მრავალფეროვანი და ძალზე ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობა. სხვადასხვა დროს ო. დიმიტრაიძე სთავადაც მრავალი თვედღის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრსა და ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს, ათეული წლების მანძილზე თანამშრომლობდა ქართველ კომპოზიტორებთან, მხარში ედგა მომღერალთა თათბებს. ო. დიმიტრაიძე ხელს უწყობდა ეროვნული სიმფონიური, საოპერო თუ სახალტო ხელოვნების განვითარებას.

ლის პრემიის ლაურეატის ჩანსულ კაბიის საშემსრულებლო ტალანტიც.

მუსიკალური აუდიტორიის მეზიერებაში აღბეჭდილია ოდისეი დიმიტრაიძის მიერ ღრმა შთაგონებით შესრულებული მრავალი მუსიკალური ნაწარმოები, რომლებმაც წარმოაჩინეს მისი შემოქმედებითი ზედწერისათვის დამახასიათებელი მრავალი თვისება — მასშტაბურობა და გაქანება, კემპარიტი არტისტიზმი აღბეჭდილი ტემპერამენტი, მშორვალე ემოციურობა, სიწყრდე.

ფართო და მრავალფეროვანია ო. დიმიტრაიძის რეპერტუარი, რომელშიც თანაარსებობენ კლასიკური და თანამედროვე მუსიკის შედეგები.

და მანც, ამ შესანიშნავი არტისტისათვის განსაკუთრებით ახ-

ლობელია რომანტიკული მუსიკა, რომლის სამყაროს იგი ვადმოსცემს დაუოკებელი მღელვარებითა და გატაცებით, შთაბეჭდილი ექსპრესიული დინამიზმით. ვერდისა და ფალიაშვილის, ბერლიოზისა და პუჩინის, მასკანისა და ლენკავალოს, ჩაიკოვსკისა და რახმანიოვის, შოსტაკოვიჩისა და ა. ბალანჩინაძის ნაწარმოებთა შესრულებიდან გამოსწვივის ო. დიმიტრაიძის საშემსრულებლო პალიტრის ფერადოვნება და სიმდიდრე.

ამ სახელოვანი მუსიკოსისადმი სიყვარულისა და პატივისცემის ნათელ გამოსხატულებად იქცა თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული შემოქმედებითი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ცნობილმა მუსიკისმცოდნემ, პროფესორმა პავლე ხუტუამ. შემდეგ ოდისეი დიმიტრაიძემ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შესრულა ბეთოვენის მეხუთე და ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიები.



უკანასკნელი წლების მანძილზე ო. დიმიტრაიძე თბილისის კონსერვატორიის პროფესორია. მისი ზედმდღევანელობით იზრდებიან მომავალი დირიგორები, მასთანვე გამოიწვრთნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რუსეთ-

მთიელების ბელადი ტევტონელები ბარონს მიამსგავსა, მას აღმოსავლური ფაფახი დაახურა და ევროპული მოსასხამი მოასხა, რომლის შიგნითაც კავკასიური ჩოხა-ახალუხისნაირი რაღაც მოუჩანდა. ესა და მრავალი სხვა ასეთი ფაქტი მოწმობს, თუ რა საყოველთაო ხასიათისა იყო ინტერესი შამილის პიროვნებისადმი და საერთოდ კავკასიისადმი. მაგრამ დალესტნის ხალხებისა და მათი ბელადისადმი განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ გორშელტი იჩენდა. იგი სიურმიდანვე ოცნებობდა კავკასიაში მოხვედრაზე და ეს ოცნება 1858 წელს აუხდა კიდევ. იგი მონაწილეობს დალესტანთან რუსეთის თვითმპყრობელობის მრავალწლიანი ომის დამავიკრვინებელ ეტაპში. ამ პერიოდში მან მრავალი ჩანახატი, ეტიუდი, ესკიზი, შექმნა. ხუთი წელი დაპყრო კავკასიაში, შემდეგ კი დაბრუნდა მიუნჰენში, სადაც გულდასმით დაამუშავა კავკასიიდან ჩატანილი მდიდარი მასალა. გორშელტის ნაწარმოებები არა მარტო ასურათებენ დალესტნის ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებს, არამედ მდიდარ და საგულისხმო ეთნოგრაფიულ მასალასაც წარმოადგენენ. გორშელტმა დალესტნის თემებზე შექმნა დიდი ფერწერული ტილოები: „შამილის დატყვევება“, „კავკასიის ლაშქრობა“, „გუნების აღება“ (ამ ტილოს დიდი ოქროს მედალი ხვდა 1867 წ. პარიზის მსოფლიო გამოფენაზე), „კაზაკები თარეშიდან ბრუნდებიან“, „რუსეთის არტილერია ჩეჩნეთში“. ამ ორი უკანასკნელი ნამუშევრისათვის გორშელტმა ოქროს მედალი დამსახურა 1869 წლის მიუნჰენის მსოფლიო გამოფენაზე და მსოფლიო აღიარება მოიხვეჭა.



კონსტანტინე გამსახურდია

## დავით აღმაშენებელი

(ოთხპტიანი დრამა)

### სცენა მესამე

გეგუთის სასახლის ბუხრიანი დარბაზი.  
ტალანში მონადირენი დაათრევენ მოკლულ ტახებს, ირმებს, მშველებს.

მონადირეთუხუცესი ორაჯენადა.  
წრეულს ვერ იყო ნადირობა ბარაქიანი,  
მხოლოდლა სამი უშვი მოკლა დავით მეფემან,  
და თითო თითო ნიანიამ, ბეშქვი ჩაყელმა.

მერემეთუხუცესი.  
ორი თავერის ერისთავმა ვარდანძემან,  
ორიც ეგრისის ერისთავმა ლიპარტიანმა.  
კარგად ისროდა კესაროსი მეფე გიორგი,  
მან ორი შველი ლელიანში მოკლა ცხენდაცხენ.

მონადირეთუხუცესი. წრეულს როგორც  
ჩანს უგუნებოდ ბრძანდება დავით, ვერც ერისთავებს  
შევაძინე დიდი ხალისი.

მერემეთუხუცესი. (აქეთ-იქით იხეკება).  
ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ როგორც უფრო მომიკრავს,  
სელტუჯიანი კვლავ აბოგდნენ და დავით მეფე  
მარჯვე დროს უცდის. რომ უბრძანოს ლაშქარს  
შეაოპა. (იღუპალი ტონით) აფხაზეთიდან, ეგრისი-

დან, ტაოს კარიდან წუხელ მოუხსამთ ქუთათისში დიდად კარი. ივანე თორელის სამცხის სანნი მოუ- რეთკა, სამი ათასი ბეშქენ ჭაუელს ჭავხილიდან.

მონადირეთხუცესი. ეგ მეც ვიცოდან, ასეთი რამ და არ ვამხედდი, კალაღობები შეხივოდენ გუშინ ერთმანეთს: ფრიალ საშურო საქმეში დაგვაკისრესო, განვახლებოთ თოვვის ციხე, ლომისის ციხე, ნიჭგორის ციხე, თუხარის დაგვრჩაო ახლა, ბოლშეულის ციხე, კობტის ციხე და ფანსკერტი, ბოლოს მგელიცხე, პოლიციხე და პეტრეს ციხე, ამას მოვრჩებით, შიდა ქართლში

გვაგზავნიანო.

ნიანია ბაკურიანი. (მონადირეთხუცესსა და მერემეთხუცესს)

მარტო დამტოვეთ, მესტურეთხუცესს მიხმეთ. (ის ორნი გადიან).

მესტურეთხუცესი.

შტორა მორკნეველი და გოგინია ტარიკისძე გეა- ხლენენ, თან მოუყვანიათ ის ხუთი პირბადიანი რაინ- დი, ფარცხისის ციხის სანაგებში დატყვევებულნი.

ნიანია. ამცენ მობრძანდენ და თან მომგვარონ ტყვენი. დავით მეფისგან ნაბრძანები მაქვს პირადლ დავიკითხო.

მორკნეველი. (შემოდის, მის უკან გოგინია ტა- რიკისძეს მოჰყავს ხუთი ხელბეგარული, ჭაჭვის პირ- ბადიანი რაინდი).

ბევრი ცეცხეთ, თავდაპირველად პირბადეს არ იხ- დიდენენ, პირბადე ავხადეთ, ახლა ვინაოხას არ ამხე- ლენ. ორნი ლიპარიტის აწაურებია ზეგისისძე და სიორისძე. ისინი გამოტუნდენ ეკრანთაში დამარცხე- ბის შემდეგ ჩვენ ვმალავდითო ამ სამ თურქს ჩვენს ციხეებში, ბოლოს ლიპარიტთან მიგყავდაო კლდე- კარის ციხეში. (შემოდის მახარა).

ნიანია. (მწითურ გრძელწვერა მოხუცებს მიე- ხლება).

მაშ არ გინდათ თქვენი ვინაოხა გავმცნოთ? კარგი და პატიოხანი, ახლავე გამოვარკვე თქვენს ვინაო- ხას.

(ნიანია ანიშნებს მახარას, იგი ხმალს გაიძრობს და წინ დაუყენებს წვერწითელას ირიბად. თავის მხრით მახარა მორკნეველს ანიშნებს, ისიც გაიძრობს ხმალს, ტუსალების მხლებლებიც იმიშვილებენ ხმალს და უბ- რძანებენ წვერწითელას გადახტეს მოპირულ ხმლებ- ზე, წვერწითელა ერთი შეხტება და გულშემოყრი- ლი ძირს დაეცა მის წინ გამწვერლ ხმლების გადა- ლმა. მოასულიერებენ).

წვერწითელი. აჰა, მე გახლავართ ამირ ტეგგა. მახარა. (აღტიკნებული) აჰა, აჰა, კარგა მოსრ- დილი ონავარი მოპყოლია ტარიკიძისთ ოჯახის მი- ერი დაგებულ ანკეხებს. ჰაააა...

ნიანია. (მახარას) დამწვიდდი, უფლისწულო!

ამირ ტეგგა. გინდ მოპირულ ხმლებზე გადა- მხტუნეთ, გინდ ორი ცხენი შემამით მკლავებზე და შუაში გამხლიჩეთ, როგორც გიურჩებს გრვევით ეგ, თუნდაც ერთ სიტყვასაც ვერ დამაცდევინებთ ალა- მის შეურაცხყოფელს, რადგან ალამ უოვლის მხილ- ველია და იგი უმზერს ჩემს წამებას თვალნათლივ.

ნიანია. ჩვენს მეფეს არ ესაჭიროება თქვენი სჭულის შეურაცხყოფა. შენ გესთხარი, ამირ ტეგგა,

ვისთან მოქონდა ის ებისტოლე, რომელიც ახლა ში ვიპოვნათ გოგინია ტარიკისძემ.

ამირ ტეგგა. ამირ ლიპარიტთან კლდეკერძე ნიანია. იმ ორ ქართველ აწაურს ხალ გადა- აწუდით?

ამირ ტეგგა. რატი ლიპარიტის ძემ გამოგვიგზა- ვნა ჭერ კიდევ ეკრანთაში ბრძოლის დაწვევამდის. თქვენ ვცდილი ამჭარად, მაგარა...

ნიანია. მაგარა რა?

ამირ ტეგგა. ალამ უძლიველია და შეუმუსე- რელი და ხმელეთის პირზე რაც ხდება, უველანი კა- ლმებდად რომ იქცენ და რაც ზღვებია ამ ქვეყნად, მელნად რომ იქცენ უველანი, ალამის ძლიერე- ბას მაინც ვერ აღწერენ. მხოლოდ თქვენ, გიურები, ვერა ხედავთ. ალამის ბრძანებით რომ მოსდევს დღე დამეს, შუე და თვარტეც ალამის სამსახურში რომ არი- ან ჩამდვარნი. ალამა იგიც ზედმეწივენი იყის, რაც კი რამ მიჩქმალულია ზღვათა უფსკრულებში, ალამს არც ის გამოეპარება, თუ რა ბელი ეწვევა დედის სა- შოში ჩასახულ ჩვილებს, მან უკეთ უწიეს, ვინ სად გაიშარკვოს და ვინ სად დამარცხდეს, რადგან ალამ უოველთა კაცთა და უოველთა ხალხთა გულთ- მეცხერიდა და იგიც დაწერილიც უურანხო: პირუტყვ- ურცხისი არიან ისინი, რომელთაც ალამის ძეძვეპო- სილება არა სწამთ. ალამა მოგვაკუთვნა ჩვენ მთე- ლი სამყარო, რათა უველგან გავშალოთ ჩვენი კარვე- ბი, ველეთი — ჩვენს ცხენებს, თქვენი ეკლესიები ჩვენს აქლემებს — ბოსლებად ალამა უბოძა.

ნიანია. ვის თქვენ?

ამირ ტეგგა. ჩვენ თურქებს, ალამს, მეაბარე- ებნასა და მეხმელებს.

მახარა. (ნიკასს იფხანს ნერველოლობისაგან) - ჰა, ჰა, ჰა, მაშ თქვენა გგონიათ, ჩვენი ქვეყნაც თქვენ მოგანიჭათ ალამა არა? რათაო ვითომ?

(ნიანია აწვივდება მახარას).

ამირ ტეგგა. რათა და კავკასიაში სამივე კლ- მადის შავა ურთიერთთან შეზავებული ველთა სი- თბო, მათა სიგრილე, ჩინებული მითის წყაროები, ესე იგი, აქ უოველივეა რაც ჩვენს ცხენოსნებს, ცხვრებს და ცხენებს ესაჭიროებათ.

მახარა. ჰო ეგებ ჩვენც გვესაჭიროებოდეს ეს უოველივე?

ამირ ტეგგა. რა უყოთ მერმე, თქვენ ურწმუ- ნონი ხართ და მცირელი, ჩვენ მორწმუნეი და ბევ- რნი ბევრი. ალამ, მრავალთა ღმერთი და სიამარ- ლეც ბევრის მხარეუა მუდამ, გემათი (უკანასკნელი სიტყვა ყვირილით თქვა).

მახარა. (წამოუვარდება და უყოვლებს)

აქლა ეს მითხარი, ამირ ტეგგა, შენ კარგად იცნობ თქვენს უურანს?

ამირ ტეგგა. ჰმ, მე თუ უურანს არ ვიცნობ, მაშ რაღა მცოდნია, ჰე!

მახარა. მაშ თუ აგრეა ნახე ოცდამეერთმეტე სურა თქვენს უურანში და მაინც ახე სწორია: მოსო- მე შენი ნაბიჯები და ხმა შენი, რამეთუ უყოლაზე დი- დი ხმა სახლდარსა აქვს.

ნიანია. უფლისწულო დამწვიდდი.

(დიდი ბუკის ხმა ისმის).

(მახარა ანიშნებს მორკნეველს, ტყვეები გაჰყავთ,

დავით მეფე და სასახლარები შემოდინან, მესტუმრეთ-  
უხუცესი შემოპყვება მათ).

და ვითი. (მახარას) გიორგი ჭყონდიდელი თუ  
შობრძანდა?

მ ა ხ ა რ ა. დიდიდანვე გიცდით.

და ვითი. (მესტუმრეთუხუცესს) აწვი ვაზირთა  
უპირველესი.

(მესტუმრეთუხუცესი ვაღის).

და ვითი. გამოტყდნენ ის პირბადაინი რაინდე-  
ბი?

მ ა ხ ა რ ა. მოპირულ ხმლებზე გადახტომა შევთავა-  
ზეთ და იესრეს. ამირ ტეგვა და მისი მხლებლები  
აღმოჩნდნენ.

და ვითი. (ნინას უბრძანებს) ქუთათისის დი-  
ლეგში გააგზავნეთ.

გიორგი ჭყონდიდელი. (ეამბორება მე-  
ფესს, სასახლარებს მიესალმება).

სულთან ბარქარაის უპისტოლე გაახლოთ,  
ჩვენმა სარწმუნო კაცმა ისაპანში, ჯოჯიშ.

და ვითი. მოგვხსენდეს.

(გიორგი მეფე შემოდის).

ჭყონდიდელი. (ტატი კითხულობს).

სახელეთა აღაპისათა, შიწყალისა მწყალბელისა-  
თა, არა არს ღმერთი თონიერ აღაპისა და მუშა-  
მეფია მოციქული მისი. მოხსენდეს სულთანთა უფრ-  
თგულეს მეგობარს აბდულ მესია ალი მალიქს გიურ-  
ჯისტანის სულთანსა დაუვლს. მას უმასა შინა მანისი  
თქვენი, მეფეთ მეფე გიორგი კესაროსი ეახლა ირანი-  
სა და არაირანის მაღალ სულტანს, მარადის გამარჯ-  
ვებულ მალიქ-შაჰს ისაპანში და აღუთქვა ხარაჯა.

მრავალ წელს იხდიდა კესაროსი გიორგი ხარაჯსა,  
ხოლო მას შემდეგ, რაც ეფ მისი ღმერთი დაუფულა  
გურჯისტანის ტახტსა და გვირგვინსა მამულსა, აღი-  
კვეთა ხარაჯის მოცემა. უცუთო სულტანი გიურჯისტან-  
ისა დაულოცა არ ინებებს დაწებებულ ხარაჯს ვა-  
რდალს იმ დღემდე ამ დღემდე, უბრძანებ ჩვენს  
პირველ ვაზირს ამირ ბენ ანიმას დაგვიწყოთ ომი  
თქვენი ქვეყნის შესამუსხრელად. აღაპიც მოწმეა და  
